



№ 234
(12 304)

4 ოქტომბერი ხუთშაბათი 2007
ბათუმის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

სპორტსმენების გრანდის შვილები

ჩელსის ჩამოწერა ნაადრევში ყოფილა



CHAMPIONS
LEAGUE

სტუმრების ტური

გუშინ, მასკინძელთა პრესტიჟი სელტიკმა დაიცვა, ლაციო მინ რეალს გაუძლო, დანარჩენი ექვსი მატჩი სტუმრების გამარჯვებით დასრულდა


A ჯგუფი	
ლივერპული-პარსელი	0:1
ბარსელონა-პორტო	0:1
B ჯგუფი	
ვალენსია-ჩელსი	1:2
არსენალი-შალკე	0:2
C ჯგუფი	
ლაციო-რეალი	2:2
პარსელი-ოლიმპიკოსი	1:3
D ჯგუფი	
სელტიკი-მილანი	2:1
ბანფიკა-შახტარი	0:1

16 ტექნიკური
შედეგები

ბიჭური ტოპი და მისის სივსონი

შუშას ჩემპიონთა ლიგის ჟურნალმა Champions-მა ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა პატარა ჩანახატი კლაუს ტომპიოლერზე, როგორც "ლევერკუზენის" იმ მწვრთნელზე, რომელმაც 2002 წელს გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა.
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჰერ ტომპიოლერს კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივებს კონტრაქტს. ერთი სიტყვით, ტოპი მინიმუმ ოთხი წლით იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, თუ საქართველოში ხელი-სუფლება ან ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობა არ შეიცვლება. ჰოდა, ტოპი ისევ აქტიურად ქართული საზოგადოებისთვის და Champions-ში გამოქვეყნებულ სტატიის გამოქართულ-ლებულ ვარიანტსაც ამაღ გთავაზობთ.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ლივერპულთან" შეხვედრისთვის კლაუს ტომპიოლერმა საგანგებო ზომები მიიღო და დარწმუნებულიც იყო, გუნდის ასეთ-ნაირად მომზადების სისწორეში.
მას შემდეგ, რაც მეტოქეზე დასაკვირვებლად "ლივერპულისა" და "ჩელსის" მატჩს დაესწრო, კლუბის მალაზიაში შევიდა, რათა "ლივერპულს" კეპი ეყვიდა, მოგვიანებით კი "ბითლზის" ჰალსტუხი.
"ენფილდზე", "ლივერპულთან" მატჩისწინა ბოლო ვარჯიშზე ის გვერდით ხაზთან დადგა და "ლივერპულს" კეპი დაიხურა. "ნორმალური კეპია, თუმც არ მიხდება - აღიარა ტომპიოლერმა - მაგრამ ლივერპული ნიშნავს საფეხბურთო კლუბ "ლივერპულს" და "ბითლზს" და მენ ეს ყველას უნდა აჩვენო".



კლაუს ტომპიოლერი

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი ბოსნიას თბილისში ვეთაგაშუბით?

საქართველოს ნაკრებს წლეულს სამი თამაში აქვს დარჩენილი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, თუმცა ამის გარდა ნაკრები ერთ ამხანაგურ შეხვედრას კიდევ ჩაატარებს. ფიფამ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად 17 ნოემბერი შეარჩია და ბუნებრივია, მისი გამოტოვება არ ეგეგმის.
დღესდღეობით არაერთ ფედერაციასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. თუმცა უფრო გამოკვეთილი ბოსნიის ნაკრებთან თამაშის ვარიანტია. თამაშის ორგანიზებაზე საუბრები მიმდინარეობდა, თუმცა მოლაპარაკებებს რამდენიმე დღის წინათ, მათი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მილან იელიჩის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი. ვითარებაში გასაკრევედა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას მივმართეთ.
"ბოსნიელებთან ამხანაგური მატჩის ჩატარებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მათი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გარდაიცვალა და ამან მცირე ხნით შეაჩერა პროცესი. ამ საკითხს მალე მივუბრუნდებით და იმედია, დადებითადაც გადაწყდება. ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე, აზიის ქვეყნებიდანაც გვაქვს ნიშნავდებები, მაგრამ ევროპელებთან გვირჩევენია თამაში", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში უჩა უგულავამ.
ბოსნია რეიტინგში ამჟამად 39-ე ადგილზეა.

დავით ცაბაძე



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

30 წელიწადი დაარსდა 50

ტაშით მსვლადბოლოდით და ტაშით გაყოველთადადობით



1982 წლის 14 ივლისი. დინამო (თბ)-დინამო (მ)

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორს ვიტალი დარასელიას 9 ოქტომბერს 50 წელი შეუსრულდებოდა. რა დრო უნდა გავიღვს, ქართველმა ერმა ვიტალი დარასელია და მისი მართლაც "საუკუნის გოლი" დაივიწყოს...

...დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ქართული ფეხბურთის წარსულთან შეხვედრა: ვიტალი დარასელიას ხსოვნის საპატივსაცემოდ თბილისის "დინამოს" ვეტერანები ამხანაგურ მატჩში "დარასელიას მეგობრების გუნდს" დაუპირისპირდებიან. იმედია, ჩვენი უმთავრესი საფეხბურთო არენა ბოლომდე გაავსება და მხურვალედ უქომაგებს იმ მართლაც დიდი "დინამოს" ფეხბურთელებს, ვის გვერდითაც ვიტალი დარასელია წლებს განმავლობაში თამაშობდა: **ოთარ გაბელიას, კარლო მჭედლიძეს, ნოდარ ხიზანიშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძეს, დავით მუჯირს, ნუკრი კაკილაშვილს,**

მანუჩარ მაჩაიძეს, ვახტანგ კობაღიშვილს, ვახტანგ ქორიძეს, ვლადიმერ გუცაეცს, რამაზ შენგელიას, გოჩა ჯოხაძეს, ვაჟა ფვინას, გრიგოლ ცაავას. არანაკლები ტაში და პატივი უნდა მივავთო რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულ სტუმრებსაც: **ლეონიდ ბურიაკს, იგორ ბელანოვს, ოლეგ კუზნეცოვს, ვიქტორ ჩანოვს, ანატოლი დემიანენკოს, იური გავრილოვს, ვაგიზ ხიდიატულისს, გიორგი იარცევს, სერგეი ბოროვსკის, ხორენ ოვანესიანს, ისკანდერ ჯავადოვს.** მით უმეტეს, რომ ვიტალი დარასელია წლების განმავლობაში თითქმის ყველა ამ ფეხბურთელთან ერთად საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა.

...დღევანდელ შეხვედრას გამარჯვებული და დამარცხებული არ ეყოლება; დღეს ხომ მეგობრობისა და ლამაზ წარსულში დაბრუნების საღამო უნდა ვნახოთ; და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ პატივი უნდა მივავთო მართლაც

დიდი ფეხბურთელის - ვიტალი დარასელიას ხსოვნას. გვევრა, რომ მისი სახელობისა და გვარის გამოცხადებას სტადიონი ხმაურიანი ტაშით შეხვდება; აი, როგორც ხვდებოდა 70-80-იან წლებში ყველა მატჩის წინ; და, როგორი ტაშითაც გავაცივით 1982 წლის 30 დეკემბრის სუსხიან დღეს უკანასკნელ გზაზე - 100 000 აცრემლებული ქომაგი სწორედ "დინამოს" სტადიონზე გამოეთხოვა თავის საყვარელ ფეხბურთელს.

სიმბოლურია, რომ ვეტერანების დღევანდელ მატჩში მონაწილეობას მიიღებს უმცროსი ვიტალი დარასელიაც, რომელიც მამის ტრადიციას აგრძელებს და ვერავინ იტყვის, ურიგო ფეხბურთელიაო. აქვე, ბარემ ის ფაქტიც გავიხსენოთ, უფროსმა დარასელიამ ვაჟიშვილს თავისი სახელი რატომ დაარქვა. 1978 წლის 27 სექტემბერს თბილისის "დინამოს" უფასო თასის განმეორებითი მატჩი ჰქონდა "ნაპოლისთან". იმ დროს ვიტალის მეუღლე დღე-დღეზე ბავშვს ელოდებოდა და იტალიაში ჩასვლისთანავე ვიტალის თანაგუნდელებისთვის უთქვამს - ჩვენებიდან მეტოქის კარში გოლს ვინც გაიტანს, ბიჭს იმის სახელს დავარქმევო. და აი, მატჩის ერთ ეპიზოდში ვახტანგ ქორიძის უძლიერესი დარტყმა "ნაპოლის" მეკარე კასტელინიმ ძლივს მოიგერია და დამატებაზეც პირველი... ვიტალი დარასელია გაჩნდა!

...აფხაზეთის მაღლიანმა მინამ ქართულ ფეხბურთს არაერთი ვარსკვლავი აჩუქა. ვიტალიც იქ დაიბადა და გაიზარდა; ბავშვობიდან ბურთს "დაუმეგობრდა" და ოჩაჩირის სპორტსკოლაში **ბონდო კაკუბავასთან** დაიწყო ვარჯიში. 1974 წელს კი, 16 წლის ვიტალი დარასელია უკვე "სერიოზულ გუნდში მოხვდა - მთელ საქართველოს მოედო ამბავი, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ოჩაჩირის "ამირანში" თვითნაბადი ტალანტი გამოჩნდაო. "დინამოს" მამინდელ მთავარ მწვრთნელს **მიხეილ იაკუშინსაც** ბევრი არ უფიქრია და დარასელია თბილისში ჩამოიყვანა. 17 წლისას კი უკვე "დინამოს" ძირითადში ჰქონდა დებიუტი (არადა, ამ ასაკში ასეთი პატივი მანამდე მხოლოდ **გიორგი სიჭინავას, შოთა იამანიძესა და ანზორ კვაზაშვილს** ჰქონდათ)! 1976 წლიდან კი "დინამო" წარმოდგენელი იყო ამ უნიჭიერესი უნივერსალის გარეშე; დარასელია-ფეხბურთელს ჩინებული ფიზიკური მონაცემებით გამოარჩევდით - ორი ტაიმი მოუღლედა თამაშობდა, ტაქტიკურადაც განვითარდა **ნოდარ ახალკაცის** ხელში და ბურთთან "ურთიერთობაში" ხომ საერთოდ...



1981 წლის 13 მაისი. ნამიკ და დარასელია "კარლ ცაისის" კარში "საუკუნის გოლს" გაიტანს



1982 წლის 14 ივლისი. დინამო (თბ)-დინამო (მ)

ბევრს უკვირდა, თუ როგორ ახერხებდა ეს პატარა ბიჭი თავდასხმისა და ნახევარდაცვის ყველა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით თამაშს; მერე, ასაკის მატებასთან ერთად "ჯანიც" რომ მოემატა, ერთი სიამოვნება იყო ხოლმე მისი თამაშის ხილვა; თანაც, "ჩაშლა" შეეძლო და შექმნაც; დრობინგიც იცოდა და ზუსტი პასიც, დარტყმაც კი ორივე ფეხით ისეთი სიძლიერითა და სიზუსტით ასრულებდა, კარში რომ მიდიოდა ბურთი, მეკარეები უმანსოდ რჩებოდნენ. თანაც, მისთვის სულ ერთი იყო, ვის ეთამაშებოდა - "ლივერპულსა" თუ "დენერს", "ინტერსა" თუ "პასტორს", "ჰამბურგსა" თუ "ჩერნომორეცს", ნაპოლისა თუ "ქაირათს". გადამწყვეტი გოლებიც რამდენი გაუტანია?! შესაძლოა, ბევრს არც ახსოვს, მაგრამ 1979 წელს "დინამომ" რომ მეორედ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი, ვიტალის უდიდესი დამსახურებაც იყო. ჯერ იყო და, ნახევარფინალში ცსკა-სთან სწორედ მისი ზუსტი დარტყმით გაათანაბრა "დინამომ" ანგარიში და მატჩიც დამატებით დროში გადავიდა. მერე კი უკვე ფინალში, მოსკოვის "დინამოსთან" დრამატულ დაპირისპირებაში ნერვები არ შეუტოვდა და ზუსტი დარტყმით პირველად დავნიანურდით პენალტების სე-

რიამი. შემდეგაც კიდევ ბევრი ასეთი პრინციპული და მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა "დინამოსა" თუ საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით. პო, ნაკრებზეც არ დაგვავიწყდეს - ჯერ 1976 წელს გახდა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი, მერე კი 1980 წელს; 20 წლის ასაკში კი უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითად მოთამაშედ იქცა და ყველა ფეხბურთელისთვის საოცნებო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც იასპარეზა. ვინ იფიქრებდა, რომ იმ წელს (1982) მისი უკანასკნელი სეზონი იქნებოდა...

...მაგრამ, მანამდე ხომ სხვა რამ იყო - ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების დღე! 1981 წლის 13 მაისს, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში ვიტალი დარასელიას გოლმა-შედეგმა ქართული ფეხბურთი სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. ასეთი გოდის და საქართველოშიც ყოველთვის "საუკუნის გოლად" დარჩება! ისევე დარჩება, როგორც ვიტალი დარასელიას ნათელი ხსოვნა-ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელისა, დღეს კიდევ ერთხელ რომ გავიხსენებთ და ფეხზე წამოვუდგებით...



1981 წლის 28 ოქტომბერი. სსრკ-ჩემპიონობა. მარცხნიდან: ალექსანდრე ჩივაძე, რენატ დასაევი, სერგეი ბალტაჩა, ოლეგ ბლოხინი, ლეონიდ ბურიაკი, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ვიტალი დარასელია, სერგეი ბოროვსკი, იური გავრილოვი, ვლადიმერ პესონოვი


ბასულ სეზონში „ზესტაფონის“ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიორგი ნუგზარის ძე ქელიძე იყო. ის იმერული კლუბის რიგებში სტაბილურად თამაშობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც მიმდინარე სეზონის დაწყებამდე თურქულ შეკრებაზე არ წაიყვანეს, ქელიძესთან დაკავშირებით არაერთი მოთქმა-მოთქმა გავრცელდა. ბევრმა მისი ზესტაფონური კარიერა დასრულებულია და ჩათვალა. პრობლემები რომ არსებობდა, ამას გუნდშიც არ მალავდნენ, თუმცა ოფიციალური ვერსია ასეთი იყო - ქელიძე მუხლის ტრავმას იმუშებს და მოედანს მალე დაუბრუნდება. როგორც ჩანს, გიორგისთვის უთანხმოებისა თუ ტრავმისა პერიოდი უკვე დასრულებულია. სამაჰათის „მგლებთან“ სათასო დაპირისპირებაში ითამაშა და მატჩის ბოლოს გოლიც გაიტანა. მას ნამატჩვეს გავესაუბრეთ.



ინტარვიუ გია თოდუასთან ბელარუსში ჩავპირონაბის ღონე იზრდება

ბელარუსში მოასპარევე ქართველ ლეგიონერები პრესის ყურადღებით ნამდვილად არ არიან განებზღვრებული. მართალია, იქაური ჩემპიონატი რუსეთისა და უკრაინის ღონისაა არაა, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში დანარჩენ ლიგებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება. ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში სამი ქართველი ასპარეზობს, ბრესტის „დინამოში“ გია თოდუა და რომან გოგინაშვილი გამოდიან, „დნეპრში“ კი ალექსანდრე შუბითიძეა.

მათი ყველაზე გამოცდილი გია თოდუაა. მისთვის ბელარუსის ლიგა უცხო ნამდვილად არაა, ადრე „მტვრიპოში“ ასპარეზობდა. გასულ უქმეებზე ბრესტელებმა მეოთხეადგილოსანი ჟოდინოს „ტორპედო“ სწორედ მის მიერ გატანილი გოლის წყალობით 1:0 დაამარცხეს. გია თოდუაც ამიტომ შევარჩიეთ რესპონდენტად.



გია თოდუა

- ბრესტის „დინამოში“, ბელარუსის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, იური პუნტუსის რეკომენდაციით ჩავირიცხე. გუნდთან ერთად მოსამზადებელი შეკრება არ გამიგლია, მაგრამ აქ კარგად იციან ჩემი შესაძლებლობები. იციან, რომ ფიზიკურად სათანადო ფორმაში არ ვარ და ამიტომაც ძირითადად მხოლოდ პირველ ტაიმს ვთამაშობ.

2 გოლი გავიტანე და რამდენიმე საგოლე პასი გავაკეთე. ვფიქრობ ნახევარმცველისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არაა.

- სეზონის დასაწყისში მაღალი მიზნებისთვის აპირებდით ბრძოლას, მაგრამ ახლა ათეულში მოხვედრას ცდილობთ...

- ჩვენი მიზანი თასის აღება და მოწინავე ექსპლუზი მოხვედრა იყო. თასი კი ავიღეთ, მაგრამ ტიტულმა გუნდი მოაღუნა. რამდენიმე მატჩში არ გავგიმართლა და თითქმის მოგებული თამაშები ფრედ ვითამაშეთ. ბოლო ხანს ისევე ავთამაშდით და ათეულში მოხვედრის კარგ შანსიც გვაქვს. სეზონის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი და მეათეადგილოსან მინსკის „დინამოს“ მხოლოდ ქულით ჩამოვრჩებით.

ლარუსის უმაღლეს ლიგაში 14-ის ნაცვლად 16 გუნდი იასპარეზებს. ლიგა იზრდება და სამი გადმოდის მომდევნო დივიზიონიდან. დაქვეითებას ალბათ „ბრესტი“ ვერ ასცდება, რომელსაც 7 ქულით ვუსწრებთ.

- შუბითიძესა და გოგინაშვილზე რას გვეტყვი?

- ორივე კარგ ფორმაშია. აქ კარგად იციან მათი შესაძლებლობები.

- სეზონი ნოემბერში დასრულდება და ზამთრის პაუზისას რომელიმე ქართველის გამოჩენა ხომ არაა მოსალოდნელი?

- აქ ლეგიონერებზე ლიმიტია. მატჩის განაცხადში 5 უცხოელზე მეტი არ უნდა იყოს და მათგან მხოლოდ ოთხს შეუძლია თამაში. ქართველის დამატებაზე ჯერ ვერ ვფიქრობთ და გაიკრევა ვინ წავა, ვინ დარჩება და რომელ პოზიციებზე იქნება ახალი ფეხბურთელის დამატების საჭიროება.

- შენ რას აპირებ, კლუბს ხომ არ შეიცვლი?

- არა, ბრესტის „დინამოში“ თავს კარგად ვგრძობ, კლუბთან კიდევ ორწლიან ხელშეკრულებას ვაპირებ და ვაპირებ და გუნდის შეცვლაზე ჯერ არ ვფიქრობ.

- შენ ვაჟსაც ფეხბურთელობა უნდა?

- რატომ არ ენდობები მამა და ბიძა ფეხბურთელები ჰყავს. მისი ნათლია გიორგი ონანიც ფეხბურთელია, სხვათა შორის, გიორგი ჩემი გუნდის ყველა საშინაო თამაშს ესწრება და მწვრთნელების გარდა, ჩვენი კლუბის პრეზიდენტიც კი იცნობს.

დავით ცაბაძე

ინტარვიუ გიორგი ქელიძესთან ქელიძეები უფრო მეტი უნდა პიყრო...

- „ტოპოლთან“ მატჩის შემდეგ აღარ ვითამაშე... რამდენად მნიშვნელოვანი იყო შენთვის „მგლებთან“ შეხვედრა?

- მიხარია, რომ მინდორს დაეუბრუნდი. ძალიან მონდომებული ვიყავი და ეს შეხვედრაშიც გამოჩნდა. ოპტიმალური ფორმისგან ჯერ შორს ვარ, მაგრამ ნელ-ნელა კონდიციებს აღვიდგენ და უკეთ ავთამაშებდი.

- როგორც ჩანს, შენ მიერ ჩატარებული პირველი მატჩით კმაყოფილი დარჩი?

- რა თქმა უნდა, გუნდმა კარგად ითამაშა და ლამაზი გამარჯვება მოიპოვა. 6:3 ხომ ყველა შეხვედრაში არ ფიქსირდება. გულშემატკივრებმა იხალისეს. ვცდილობდი, კარგად მეთამაშა და გუნდისთვის გამოსადეგი ვყოფილიყავი. გოლის გატანაც მოვახერხე. ეს ჩემთვის კარგი სტიმულია.

- დიდი ხანი არ ჩანდი. ხმები გავრცელდა, რომ „ზესტაფონში“ აღარ ირიცხებოდი. საინტერესოა, სინამდვილეში რა მოხდა და რატომ ვახდა საჭირო შენ მიმართ „სანქციების“ გატარება?

- ისეთი არაფერი მომხდარა. იყო რაღაც უმნიშვნელო პრობლემა, რომელიც ძალიან გაიბერა. უკვე ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდში არ ვიქნებოდი. უთამაშებლობის მიზეზი კი ნამდვილად ტრავმა იყო. მუხლი ძალიან მაწუნებდა. ახლა ყველაფერი რიგზეა.

- „ზესტაფონში“ კონკურენცია ძალიან გაიზარდა. არ დაფიქრებულხარ, რომ შესაძლოა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნება გაგიჭირდეს?

- ყოველთვის კარგია, როცა გუნდში დიდი კონკურენცია არსებობს. მწვრთნელს მეტი არჩევანი აქვს, ფეხბურთელებს კი გრძელი სეზონის განმავლობაში ძალების გადანაწილების უკეთესი საშუალება აქვთ. როცა გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი იყოს თავს, შედეგი არ აყრვინებს და თამაშის ხარისხიც უკეთესი ხდება. ჩემპიონატში და თასზე მაქსიმალურ მიზნებს ვისახავთ და ამ ვითარებაში გრძელი სათანადო დარეგისტრაცია ძალიან მნიშვნელოვანია. კონკურენცია არ მაშინებს, ვფიქრობ, მანსი ბევრჯერ მომეცემა და შევეცდები, რომ გამოვიყენო.

- გასულ წელს ძირითადად ორ პოზიციაზე, ცენტრალურ და მარჯვენა ნახევარმცველად გინევდა თამაში, ერთი-ორჯერ თავდასხმაშიც გაგამნესეს. წლევიდან „ზესტაფონში“ რომელ ამპლუაში ხედავ შენს თავს?

- სხვადასხვა პოზიციაზე შემიძლია თამაში, გააჩნია მწვრთნელი რა დავალებებს მომცემს. ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

- „ზესტაფონში“ უკვე ორი გიორგი ქელიძე ხართ...

- მეც და ამას რა ჯობია. ორი კი არა მეტი უნდა ვიყოთ. ადრე „თბილისში“ ოთხი ქელიძე ვიყავით, ჩემსა და „პაჭელოს“ გარდა იქ ჩვენი ძმებიც თამაშობდნენ. კარგი დრო იყო... გიორგიმ „ზესტაფონში“ მნიშვნელოვნად გააძლიერა. მისი დამსახურებაცაა გუნდი თავდასხმაში ასეთი ნაყოფიერი რომ არის. საერთოდაც, წლეულს „ზესტაფონში“ გაცილებით უფრო შემტევ ფეხბურთს აჩვენებს, ვიდრე გასული სამი წლის განმავლობაში.

- მომავალ ტურში „ბორჯომთან“ პრინციპული შეხვედრა გაქვთ...

- „ბორჯომი“ ძლიერი გუნდია და მის დასამარცხებლად მაქსიმალური მოზილიზება დაგვჭირდება. ძალზედ სერიოზული თამაშია. ეს შეხვედრა ბევრ რამეს გადანყვეტს. ვიქნები თუ არა ძირითად შემადგენლობაში, ამას მწვრთნელი გადაწყვეტს. თამაშის შესაძლებლობა თუ მომეცემა, თავს არ დავზოგავ.

დავით კოსტაძე
ზესტაფონიდან

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბათუმის სატელეკომუნიკაციო მომსახურების სერვის კომპანია

- CDN ინტერნეტ ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- CDN ტელეფონის დადგმა;
- CDN მ-ს-ს კავშირი ყველაგან და ყოველთვის;
- GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
- CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში 24 საათის უწყვეტი მომსახურება

საათის გარანტირებული ხარისხი • გვიანდა ხსნიდან გულსკლავად

დარეკე, შეუკავშირე, ჩაატარე!

ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ლევინიძე (მარცხნიდან მეორე) დღესასწაულისთვის ემზადება

ლევიონარი ლუდის ფანჯივალი და ბათუმს წარმოადგენა

ბაშარიაში ლუდის ფესტივალი მიმდინარეობს, რომელშიც თითქმის ყველა ბაგარილი და მხარის სტუმარი მონაწილეობს. „ოქტობერ-ფესტი“ იმდენად პოპულარულია, რომ მასში საფეხბურთო კლუბებიც მონაწილეობენ.

„ბაშარიაში მიმდინარე ლუდის ფესტივალში“ მიუხედავად 1866-ი „ჩაერთო. კლუბის ხელმძღვანელობამ ლოკალური წარმოდგენა მოახსოვა, რომელიც გუნდის გამორჩეული ფეხბურთელები ბერქანთ გიორჯის,

მუსტაფა კურუკოვიჩი, მათე ლევინიძე, სვენ ბენდერი, ტიმო გეგარტი მონაწილეობდნენ. კლუბის ვარსკვლავები ეროვნების მიუხედავად, ბაგარილთა ნაციონალურ საშინაო იყვენ გამოწყობილნი და გუნდის კომპეტითან ერთად მონაწილეობდნენ ზეიმში...“ - წერს „მონხენ 1866-ის“ ოფიციალური ვებგვერდი.

დავით ცაბაძე



www.kazbegi.com

გახსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინეთ კომპანია ყაზბეგი



www.pfu.ge

საქართველოს უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათავაშვა



ჯორჯ აკერემი ბომბარდირობისთვის იბრძვის

გზა მშვიდობისა გორკედო!

I ჯგუფი

გორკედო-სპარტაკი

0:2

03.10. ქუთაისი. ცენტრალური 800 მაყურებელი

0:1 მედოევი (7), 0:2 ჩირიკაშვილი (78. ბახტურიძის პასით) გამოსუყვანებული პენალტი: მდივნიშვილი (89, მეკარე) ტორკედო: გივიკაძე - ხარებავა, დარსაძე, ვაჩიბერაძე, ძაგანია - ჭყონია (46. გოდერძიძე), მეტონიძე, შავგულიძე, ჭანკვეტაძე (62, კირკიტაძე) - მდივნიშვილი, კეჭექაძე (73, ქიმუცაძე) სტატისტიკა: ოდიშარია, გაბუნია, ჯგონაძე, ხინგავა

6. შავგულიძის შორეული დარტყმა ხარისხს გადასცდა. 7. 0:1 - მედოევა ჯარიმიდან არც თუ ისე ძლიერად დაარტყა, ბურთი მცველს შეეხო და კარში შეგორდა. 27. ხარებავას ჯარიმა ქვილითაიამ აკრობატულ ნახტომში მოიგვრია. 29. ჩირიკაშვილის ძლიერ დარტყმას გივიკაძე ადგილზე დაუხვდა. 47. ჭანკვეტაძემ მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა, ქვილითაის ბურთის მოგვრება გაუჭირდა. 51. შავგულიძის გადაცემის შემდეგ მდივნიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ იხვირა. 53. ძაგანიამ ფლანგიდან ჩაქიდა ბურთი, კეჭექაძე შორეულ ძელთან მარტოდმარტო იყო, მაგრამ ბურთის თავი ააცილა. 60. მეტონიძემ მცველი ჩამოიცილა და ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ სიხუსტე დააკლდა. 69. გოგობიას პასის შემდეგ ჯანელიძემ სამიოდე მეტრიდან თავით ვერ გაიტანა. 78. 0:2 - ბახტურიძის გადაცემის შემდეგ ჩირიკაშვილი მაყურებელთა დიდი ინტერესით გააღვიძრა. 89. ქვილითაიმ მდივნიშვილს პენალტი აუღო. 90. გოგობიამ ხუთიოდე მეტრიდან ურტყამა, მაგრამ გივიკაძემ იმარჯვა. 90. კირკიტაძის ძლიერ დარტყმა ქვილითაიმ მოიგვრია

მე ქვილითაიამ, რომელმაც გასული სეზონი „ტორპედოში“ გაატარა, ყოფილ თანატოლებს გოლის გატანა არაფრით დაანება.

ქუთათურების სათასო პერსპექტივები ისედაც ბუნდოვანი იყო და ამ დამარცხებით ტორპედოლემბა, ფაქტობრივად, ჯგუფში ჩარჩენას მოანენეს ხელი. ამიტომაც, ამოიხორა თამაშის შემდეგ რამდენიმე ფანმა - „ტორპედო“ ფანდარასტო...

ცხინვალმა კი ამ გამარჯვებით შემდეგ ეტაბზე გასვლის შანსი დაიტოვა.

დავით კოსტანიძე ქუთაისილია

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

Table with 2 columns: Rank and Team Name. Lists teams like სპარტაკი, დინამო, etc.

„ტორპედო“ და „სპარტაკი“ თანის ჯგუფური ეტაბის პირველ შეხვერაში, შესაბამისად, „ამერთან“ და „მესხეთან“ დამარცხდნენ, ამიტომ თუ რომელიმე მათგანს შემდეგ ეტაბზე თამაშის ამბიცია შერჩენოდა, ამ შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ, გამაჯვებისთვის უნდა ებრძოლა.

დანელის არყოფნას თუ არ ჩავთვლით, მასპინძლებმა მათ ხელთ არსებული რესურსები ბოლომდე გამოიყენეს. კობა ჟორჯიკაშვილმა კი ქუთაისში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ იახლა. მათ შორის, ცენტრალური მცველი ბესიკ ხაჭიპერაძე, რომელსაც „ამერთან“ გასული ტურის მატჩში ყური ისე აესხა, რომ 12 ნაკერის დადგება დასჭირდა. ცხინვალელებს დანაკლისი მეორე ტაიმში დაეტყვოთ, როცა გამოფხიზლებულმა „ტორპედომ“ მათ კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა. იქამდე თითქმის თანაბარი თამაში იყო, სტუმართა ოდნავი უპირატეობით. მე-7 წუთზე სპარტაკელთა პირველივე დარტყმას გოლი მოჰყვა. ამ ეპიზოდში ქუთაისელთა ახალგაზრდა მეკარეს უკეთ თამაში მართებდა. მართალია, მედოევის დარტყმის შემდეგ ბურთი სხვას მოხვდა, მაგრამ ისე სუსტად წავიდა კარისკენ, აუღებელთა კატივორიას ნამდვილად არ განეკუთვნებოდა.

მეორე ნახევარში „ტორპედომ“ თამაში გამოსასწორა და მეტოქეს არაერთი პრობლემა შეუქმნა, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტთან ერთად, მატჩის მიწურულს პენალტიც გააფუჭა. მასპინძელთა რიგები ყველაზე უიღბლო ლევან მდივნიშვილი იყო, რომელმაც ვერ მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა, ბოლოს კი ქვილითაიმ პენალტიც აუღო. მაქსიმალური ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები: მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, „ველეს სარსვილდის“, „სან ლორენსოსა“ და „როსარიო სენტრალის“ ყოფილი ფეხბურთელი. მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, „რივერ პლეტის“ ყოფილი ფეხბურთელი; მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის „გიმნასია და ესგრემას“ ყოფილი ფეხბურთელი; ფიზიოლოგების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი.



ქართველ ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მომზადება არბენტინაში მარადონას სამშობლოში

ქართველ ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები: მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, „ველეს სარსვილდის“, „სან ლორენსოსა“ და „როსარიო სენტრალის“ ყოფილი ფეხბურთელი. მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, „რივერ პლეტის“ ყოფილი ფეხბურთელი; მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის „გიმნასია და ესგრემას“ ყოფილი ფეხბურთელი; ფიზიოლოგების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი. 16-დან 20 წლამდე ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ, ჯერ აიმალონ საფეხბურთო დონე, ხოლო შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ არგენტინის საფეხბურთო ლიგებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც პროფესიონალებთან ერთად 300-ზე მეტი საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებს. არგენტინა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდებს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტი შეჯიბრება იმართება, რაც ქართველ ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, გაიუმჯობესონ ტექნიკა და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები. მომზადების პერიოდი 8 თვიან ერთ წლამდეა. მომზადების პერიოდში ფეხბურთელებზე მოხდება დაკვირვება. მომზადების შემდეგ, ისინი მივლენილი იქნებიან არგენტინის კლუბებში და ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, ავიაბილეთების, ბინის, კვების, შინა ტრანსპორტების და არგენტინის ვიზის ხარჯებს არგენტინის მხარე არ უზრუნველყოფს და დაეხმება უნდა იქნას მსურველთა, ან მათი სპონსორების მიერ. დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან, მისამართზე: ლეონის ქ. №4 (ყოფილი კიროვის ქ. თავისუფლების მოედანთან, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება ინარმოებს ყოველდღე 13-დან 14 საათამდე არგენტინის წარმომადგენელთან საქართველოში, მხოლოდ წინასწარ ჩანერით, შემდეგ ტელეფონზე: 899 23-55-20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება! საბუთების გასაფორმებლად და არგენტინის ვიზების მისაღებად მსურველები უნდა გამოცხადდნენ სასწრაფოდ!!!



გაგაუთი

სსკა-შენერბაჰი 2:2
ტსკა: მანდრიკინი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შემბერასი, კრამჩი, რაპინიჩი, დუდუ (90. ალდონინი), ჟიკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი.

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა დევიდმა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა. მოსკოველმა არმიელმა ორი ქულა გაანიავეს. "ფენერბაჰი" კი შინ კმაყოფილი გაემგზავრა.

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა დევიდმა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა. მოსკოველმა არმიელმა ორი ქულა გაანიავეს. "ფენერბაჰი" კი შინ კმაყოფილი გაემგზავრა.

ტსკა მეტოქის შევიწროებას პირველივე წუთიდან შეეცადა. მოსკოველებს "ეინდჰოვენთან" პირველი მატჩი ნაგებული ჰქონდათ. ამიტომ ქულების დაკარგვას აღარ აპირებდნენ, მაგრამ მე-9 მუთზე ცივი შხაბი გადაავლეს.



ინტერი-ეინდჰოვენი. ზლატანმა დაბადების დღისათვის დუბლი გააკეთა

დო. რუსების მეორე გოლიც ედუს სინდისზეა. მან ვაგნერი საკუთარ საჯარიმოში წააქცია. დაზარალებულმა პენალტი თვითონვე გარდასახა გოლად.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.


ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დუბლი გამოაცხო. მან ერთი გოლი პენალტით გაიტანა, ხოლო მეორე თავური დარტყმით. "ეინდჰოვენი" შინ კუდამოძულებულად სახიფათო მომენტებს უფერო "ინტერი" სტამბოლში შერცხვა.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.



სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

ადრე მოხდა. რუმინელი მცველი სამკვირიანი შევებულების შემდეგ პირველად ასპარეზობდა. მოგეხსენებათ, მას მხარი ჰქონდა ამოგარდნილი. კრისტინიანი ლიგის მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს.

გუშინ იბრაჰიმოვიჩს 26 წელი შეუსრულდა. მან საკუთარ თავს საუკეთესო საჩუქარი თავადვე უძღვნა. თავად განსაჯეთ, ზლატანს ჩემპიონთა ლიგაში 2005 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ინტერი: ულიო სეზარი, ძანეტი, კიეუ, სამუელი, მაქსელი, ფიგუ, სოლარი (70. პოლცონი), კამბაზო, სტანკოვიჩი, კრესპო (61. სუასო), იბრაჰიმოვიჩი.

ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურშიც დამარცხდნენ. და აი, როგორც იქნა, მათ ქუჩაზეც გამოიხედა მზემ. პრალის "სლავია" კრიზისში მყოფი ესპანური გრანდისთვისაც იოლი საკბილო აღმოჩნდა, 4:2. მაგრამ თამაში საკმაოდ ნერვიულად დაიწყო.

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

გოლი: 0:1 ვან პერსი (76)
მაყურებელი: 14 000
არბიტრი: ტერიე პაუვე (ნორვეგია)

ლონდონელებმა რობინ ვან პერსის ერთადერთი გოლით გაიმარჯვეს, ზუსტად ისე, როგორც პრემიერლიგის ბოლო ტურში, "ვესტ ჰემთან" დერბისას. იმ შეხვედრაშიც მინიმალური ანგარიში დაფიქსირდა და გოლიც ავტორი მამინაც ჰოლანდიელი თავდამსხმელი იყო.

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას


სტიაუა-არსენალი. მატეო ფლამინი საპაერო ორთაბრძოლისას

ჩემპიონთა ლიგა

Table with 5 columns: მ, მ, მ, მ, მ. Row 1: 2, 1, 1, 0, 3-2, 4. Row 2: 2, 1, 0, 1, 2-1, 3. Row 3: 2, 1, 0, 1, 2-3, 3. Row 4: 2, 0, 1, 1, 3-4, 1.

სტიაუა-არსენალი


Table with 5 columns: მ, მ, მ, მ, მ. Row 1: 2, 2, 0, 0, 4-0, 6. Row 2: 2, 1, 0, 1, 4-5, 3. Row 3: 2, 1, 0, 1, 4-5, 3. Row 4: 2, 0, 0, 2, 1-3, 0.



ფორმულა 1. მოსალოდნელი ტრანსფერი

პაილონი: მოაშორეთ ალონსო!

ჩემპიონატის ლიდერს ესპანელის თანაგუნდელი ალარ სურს



ალონსო გურკევილოვაშია

“მასპარეზსა” და ჯერაც მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს შორის დაძაბული ურთიერთობის შესახებ საუბრისთვის არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელი პილოტის ბრიტანულ საჯინბოსთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ამ სეზონის შემდეგ ალონსო “მაკლარენში” აღარ დარჩება და სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას.

ბოლო მომენტამდე, ფერნანდოსთან დაძაბული ურთიერთობის შესახებ კომენტარების გაკეთებას ერიდებოდა ალონსოს ბრიტანელი თანაგუნდელი ლუის ჰემილტონი, მაგრამ იაპონიის გრან-პრის მოგებით, ახალგაზრდა პილოტმა მოახლოებული ტიტული იგრძინა და თავის გამონათქვამებში ჩვეული თავშეკავება დაკარგა. “ფუძიზე” რბოლის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში ჰემილტონმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ძალიან უნდა ალონსოს “მაკლარენიდან” წასვლა და მომავალში, პარტნიორის არჩევინას, თავად სურს გუნდის ხელმძღვანელობას საკუთარი პირობები უკარნახოს. “ადრე, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ მომავალში, თანა-

გუნდელის არჩევის საკითხს მთელი სერიოზულობით მოვეკიდები”, - ამბობს საერთო ჩათვლის ლიდერი.

ჰემილტონი “მაკლარენის” აღზრდილი და ძნელი ნარმოსადგენია, რომ ეს გუნდი ფორმულა 1-ის ახალ ვარსკვლავს შეელიოს. ამიტომაც, ლუისის ბოლო განცხადების ფონზე, დღის წესრიგში დგება ალონსოს ტრანსფერის საკითხი.

ცოტა ხნის წინათ, “ფერარისთან” დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით, “გაძევა დელო სპორტმა” გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესპანელი პილოტი 2008 წელს შესაძლოა სკუდერისა ნევერი გახდეს და ფინელ კიმი რაიკონენთან შექმნას დუეტით. თუმცა ამ ცნობას მამინევი გამოეხმაურა “ფერარის” სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი და მის გუნდში ალონსოს გადასვლის შანსები ნულის ტოლად შეაფასა.

“მომავალ წელს, ალონსოს არანაირი შანსი არ აქვს, რომ “ფერარის” საჭეს მიუჯდეს. ჩვენ მოქმედი კონტრაქტები გვაკავშირებს შესანიშნავ პილოტებთან, კიმი რაიკონენთან, ფელიპე

მასასთან და ბოლომდე ვაპირებთ ამ ხელშეკრულებების დაცვას”, - აცხადებს ტოდტი.

საავტომობილო პრესის ნარმომადგენელთა აზრით, ალონსოსადმი ტოდტის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი ძველ დროს უკავშირდება. ჯერ კიდევ ფორმულა 3000-ის სერიაში მოღვაწეობისას, ესპანელმა პირადად ტოდტის მიერ შეთავაზებულ კონტრაქტზე უარი განაცხადა და “რენოსთან” თანამშრომლობა აირჩია.

ამასობაში, კვლავ გამოჩნდნენ ასპარეზზე “რენო” და მისი ბოსი ფლავიო ბრიატორე. ცნობილია მენეჯერმა ესპანელს იმ გუნდში დაბრუნება შესთავაზა, რომელშიც ფერნანდო თავისი ორი ტიტული მოიპოვა.

“ალონსოს ვუთხარი, რომ მისთვის ჩვენს გუნდში ყოველთვის მოიძებნება ადგილი. ჩვენი მხრიდან სისულელე იქნება იმის უარყოფა, რომ მართლაც გვინდა ფერნანდოს დაბრუნება, თუ, რა თქმა უნდა, ის თავისუფალი აგენტი გახდება. ამბობენ, რომ ესპანელი შეესაძლოა “ფერაროში” გადავიდეს, მაგრამ იქ მისი პარტნიორი კიმი რაიკონენი იქნება, ხოლო ლუის ჰემილტონთან პრობლემების შემდეგ, აშკარად ალონსო დიდხანს იფიქრებს იმაზე, ღირს თუ არა ახალ გუნდში მსგავსი თავგადასავლების ძიება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ერთ გუნდს შეეძლო ორი ძლიერი პილოტის ყოლა. დღეს მნიშვნელოვანია იერარქიის დაცვა და იმის გარკვევა, თუ ვინ არის პირველი და ვინ მეორე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდში დესტაბილიზაციის საფრთხე იზრდება. როცა შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონს იწვევ, მას პირველი პილოტის სტატუსი უნდა მიანიჭო. “რენოში” ალონსოსთან ჩვენც გვექმნება პრობლემები, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ყოველთვის გულწრფელი ვიცავით და საკამათო საკითხებს იოლად ვწყვეტით”, - აცხადებს ბრიატორე.

ასე რომ, ალონსოს მომავალი კარიერის შესახებ მითქმა-მოთქმა კიდევ კარგა ხანი გაგრძელდება, მაგრამ სავარაუდოდ, ამ საკითხს ნათელი მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ მოეხიზება.

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

ვის რა შანსები აქვს?

იანუინის გრან-პრის მოგებით, ბრიტანელმა ლუის ჰემილტონმა კარიერაში პირველი ტიტულისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. სეზონის დასრულებამდე ორი რბოლით ადრე, ბრიტანელი თავის უახლოეს მდევარს, ფერნანდო ალონსოს 12 ქულას უგებს, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ კიმი რაიკონენს - 17 ქულას. ასე რომ, ტიტულის მოსაგებად, 22 წლის ბრიტანელს დარჩენილ რბოლებში 9 ქულის მოგროვება სჭირდება.

თუმცა, მოველნათა განვითარების სხვა ვარიანტებიც არსებობს.

ჩემპიონი

ბრიტანელს ტიტულის მოსაპოვებლად ერთი რბოლის მოგება სჭირდება. ამ შემთხვევაში მას 117 ქულა გაუზდება, ალონსოს - მაქსიმუმ 113, რაიკონენს - მაქსიმუმ 108. ლუისს ერთი მეორე ადგილიც შეიძლება ეყოს, მაგრამ თუ მეორე რბოლაში ქულათა ზონაში ვერ შევა, ხოლო ალონსო ორივე ეტაპს მოიგებს, თანაგუნდელს ერთნაირი ქულები (115) ექნებათ და ესპანელი მოგებული ეტაპების რაოდენობით (6-4-ის წინააღმდეგ) გახდება ჩემპიონი.

თუ ჰემილტონი ერთ რბოლაში მეორე ადგილზე გავა, მაშინ მეორეში მეორე ადგილიც (ანუ ერთი ქულა) დააკმაყოფილებს. არსებობს მისი გაჩემპიონების კიდევ ორი ვარიანტი - ერთ ეტაპზე მესამე ადგილი და მეორეში საუკეთესო ექვსეულში შესვლა, ან კიდევ ერთი მეთხუთე და ერთი მეხუთე ადგილი.

კლასი

უნდა მოიგოს ორივე რბოლა, მაგრამ ამასთან, მას ჰემილტონიც უნდა დეხმაროს. ორივე ეტაპზე გამარჯვების შემთხვევაში, ესპანელს აწყობს თანაგუნდელის მეორე ადგილი და გამოითქვამს, მესამე და მეხუთე ადგილები, მეოთხე და მეექვსე ადგილები და ორი მეხუთე ადგილი. ამ ვარიანტებში, ორივე პილოტი 115-115 ქულას დააგროვებს და როგორც ზემოთ ვითხარით, ფერნანდო მოგებული ეტაპების რაოდენობით გახდება ჩემპიონი.

კიდევ არაერთი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დარჩენილ ორ რბოლაში ალონსომ თანაგუნდელს 12 ქულა უნდა მოუტოს. და კიდევ ერთი: თუ ესპანელი ერთ-ერთ ეტაპზე საუკეთესო შედეგულში ვერ შეაღწევს, მაშინ ტიტულის დაკარგვა ვარაუდირებული ექნება.

რაიკონენი

ფინელმა ორივე რბოლა უნდა მოიგოს და ამასთან, ჰემილტონმა არ უნდა დააგროვოს 3 ქულაზე მეტი (ეს არის მე-7 და მე-8 ან მე-6 ადგილი და გამოითქვამს), ალონსო კი, ერთ ეტაპზე მეორე ადგილზე შორს არ უნდა წავიდეს და მეორეზე - მესამე პოზიციას ვერ უნდა გასცდეს.

თეორიულად, კიმი კიდევ ერთი ვარიანტი აქვს - ერთი ეტაპის მოგება და მეორეში - მეორე ადგილი. ოღონდ, ეს ვარიანტი იმ შემთხვევაში იმუშავებს, თუ ჰემილტონი ორივე შემთხვევაში გამოითქვამს რბოლას.



ჰემილტონი თითქმის ჩემპიონია

Table with TV schedule for the week, including channels like 4, I, HTB, and programs like 4 მოქმედი, I არსი, HTB-პლაზა (უზგუატი).

Table with TV schedule for the week, including channel SPOR 1 and programs like ფეხბურთი, ესპანეთის ჩემპიონატი, ფეხბურთი.

Table with TV schedule for the week, including channel EUROSPORT and programs like ავტოსპორტი, მსოფლიო ჩემპიონატი.

Table with TV schedule for the week, including channel EUROSPORT-2 and programs like ახალი ამბები, ავსტრალიური ფეხბურთი.

სხალი ხაზი

Table with tennis match results and fixtures, including columns for player names, sets, and match numbers.

Table with tennis match results and fixtures, including columns for player names, sets, and match numbers.



ჯონსის გოლი რუსენბორგის კარში



პაცაცოგლუ მეროვ გოლს ზეიმობს

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

A ჯგუფი

ლივერპული-პარსელი 0:1

ლივერპული: რენი, ფინენი, კარაგერი, პი-იბია, ფაბიო აურელიო (70. გორიონი), ბენიუ-ნი, ჯერარდი, სისოკო, ლეტო (52. რისე), ფერ-ნანდო ტორესი, კრაუჩი (75. კუტი).

პარსელი: მანდანა, ბონარი, როდრიგესი, ფივე, ტაივო, ვალბუენა (84. ორუმე), კანა, შერი, ზენდენი (88. არაში), ზინი, ნინგი (70. ჯიბრილ სისე).

გოლი: 0:1 ვალბუენა (77)
მაყურებელი: 45 000
არბიტრი: კონრად პლატცი (ავსტრია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

ბაჰიამთაჟი-პორტუგალია 0:1

ბეჰიამთაჟი: პაქან არიქანი, სერდარ ქურ-თულუმი (71. ალი თანდიგანი), გიოქან ზანი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულუმეზი, სერ-დარ ოზქანი, ედუარდ სისე, ტელი, მატის დელგადო, ბობო (27. მარსიო ნობრე), იბრაჰიმ აქინი (67. ფედერიკო იგუაინი).

პორტუგალია: პელტონი, ბოსინგვა, ბრუნო ალ-ვეში, სტეჰანოვი, ფიჩილე, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ შეირელესი (84. ლეან-დრო ლიმა), კუარენგმა, სექტილი (66. ჩეხი), ლი-სანდრო ლოპესი (75. ადრიანო).

გოლი: კუარენგმა (90+2)
მაყურებელი: 30 000
არბიტრი: პიტერ ფინეი (პოლანდია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

Summary table with 5 columns: Player, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards.

B ჯგუფი

ვალენსია-ჩელსი 1:2

ვალენსია: პილდებრანდი, მიგელი, ალბო-ლი, ივან ელგერა, მორეთი, ხოაკინი (88. არის-მენდი), ალბელდა (75. ბარაბა), მარჩენა, სილვა, ვილია, მორინტესი (69. ჟიგირი).

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერერა, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ჯო კოული, მაკე-ლელე, ესენი (84. სრდელი), მალუდა (85. კა-ლუ), ობი მიკელი (89. ალექსი), დროგბა.

გოლები: 1:0 ვილია (9), 1:1 მორეთი (21-საკ. კარმი), 1:2 დროგბა (71)
მაყურებელი: 48 000
არბიტრი: რობერტო როსტეი (იტალია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

რუსენბორგი-შალკე 0:2

რუსენბორგი: პირმფელდი, სტრანდი, ბას-მა, კოპინენი, დროსინი (79. კონან ია), სკიელბ-რედი (68. კონე), საპარა, რიხტეი, ტეტეი, ტრა-ორე, ივერსენი.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, პოვედესი, ჯონსი (84. ვარელა), ერნ-სტი, ბაირამოვიჩი, რაკიტინი (74. როსმიულე-რი), კურანი, ლოვენკრანდსი (64. ასამოა).

გოლები: 0:1 ჯონსი (62), 0:2 კურანი (89)
მაყურებელი: 20 000
არბიტრი: გრეგორ გილევესკი (პოლონეთი)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

Summary table with 5 columns: Player, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards.

C ჯგუფი

ლაციო-რეალი 2:2

ლაციო: ბალიტა, ბეპრამი (66. სკალინი), სტენდარდო, კრიბარი, მაური, მუდინგაი, კრის-ტიან ლედესმა, მუტარელი, მაური (78. დელ ნე-რო), პანდევი, როკი (66. მაკინევა).

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანა-ვარო, პინცე, მარსელო, სნიდერი (88. დრე-ტე), დიარა, გუტი, რობენი (78. გონსალო იგუა-ინი), ვან ნისტელროი, რაული (83. საიოლა).

გოლები: 0:1 ვან ნისტელროი (8), 1:1 პანდე-ვი (32), 1:2 ვან ნისტელროი (61), 2:2 პანდევი (75)
მაყურებელი: 60 000
არბიტრი: ფრანკ დე ბლექერი (ბელგია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

ვერდერი-ოლიმპიაოსი 1:3

ვერდერი: ფანდერი, პასანენი, მერტეზაკე-რი, ნალო, დ. ტომპი, ფრიტი (63. ბორგეს-კი), ფრინგსი, დიეგო, დ. იენსენი, უგო ალმეიდა, როსენბერგი (77. სანოვო).

ოლიმპიაოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსი-დისი (86. პანტოსი), ანცასი, რაულ ბრავო, დი-მი (19. ჟულიო სეზარი), პაცაცოგლუ, კრისტიან რაულ ლედესმა, სტოლტიდისი, ვალუტი (72. კოვაჩევიჩი), პ. ჯორჯევიჩი, ლუა ლუა.

გოლები: 1:0 უგო ალმეიდა (32), 1:1 სტოლტი-დისი (72), 1:2 პაცაცოგლუ (82), 1:3 კოვაჩევიჩი (87)
მაყურებელი: 37 000
არბიტრი: კლაუს პო ლარსენი (დანია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

Summary table with 5 columns: Player, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards.

D ჯგუფი

სელტიკი-მილანი 2:1

სელტიკი: ბორუტი, დუმბე (79. კენედი), გ. კოლდუელი, მაკმანუსი, ნელიორი, დონატი, პარტი, იაროშკი (85. კილენი), მაკგიდი (85. ნაკამურა), ს. ბრაუნი, მაკდონალდი.

მილანი: დიდა (90+4. კალაჩი), ოდო, ბონე-რა, ნესტა, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამ-ბროზინი, კაკა, ზედორი (55. გურკუფი), ინ-ძაგი (77. ჯილარდინო).

გოლები: 1:0 მაკმანუსი (63), 1:1 კაკა (68-პენ), 2:1 მაკდონალდი (90)
მაყურებელი: 60 832
არბიტრი: მარკუს მერკი (გერმანია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

ბენფიკა-შახტარი 0:1

ბენფიკა: კუმი, ნელსონი (46. ნუნუ გო-მეშო), ლუიზაო, ედკარლუში, ლეო, მაქსი პე-რეირა, კაცურანისი, კრისტიან როდრიგესი, დი მარია (61. ბინია), რუი კოშტა, ოსკარ კარ-დოსო.

შახტარი: პიატოვი, სრნა, ჩიგირინსკი, კუერ-რი, რატი, ილსინი (79. დულოი), ლევანდოვს-კი (87. ჰუმპანი), ფერნანდინო, ფადოსონი (77. კასტილიო), ლუკარელი, ბრანდაო.

გოლი: 0:1 ფადოსონი (42)
მაყურებელი: 47 000
არბიტრი: კოლფვანგ მტარკი (გერმანია)

Table with 2 columns: Statistic and Value. Includes goals, shots, and possession percentages.

Summary table with 5 columns: Player, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards.



გორან პანდევი-რუდ ვან ნისტელროი 2:2



გორან პანდევი-რუდ ვან ნისტელროი 2:2

ბანასლავალია ბადრი პატარაპცივილის ხელმძღვანელობით

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიანი

დირექტორი პაბა ბაღაშვილი
რედაქტორები: მამუკა ჩხეიძე, მია თვალიაშვილი, ქართული სპორტი, ნიკოლოზ ნაჭარიანი, პაბა თოთაძე, მერაბ მამულაშვილი, დავით ტაბაძე, ლევან ჯანაშიანი, შინა ტუთაშვილი, დავით თაყაიშვილი, ირაკლი თაბაძე, ვაჟა სიმონიშვილი, ზვიად შათირიშვილი, კობა ხატინაშვილი, ბესიკ ჯანაშიანი.

საქართველო საფეხბურთო ფედერაცია
მისამართი: თბილისი, თბილისის გამზ. 10

ტელეფონები: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია

საბჭოთაო საფეხბურთო ფედერაცია